**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# ზედგინიძე იაკობ სიმონის ძე



ზედგინიძე იაკობ სიმონის ძე (1859, სოფ. ვალე, ახლანდ. ახალციხის მუნიციპალიტეტი, – 1943), პედაგოგი, მეთოდისტი. დაამთავრა ახალციხის სამაზრო სასწავლებელი (1874), თბილ. სამასწავლებლო ინ-ტი (1879); მუშაობა დაიწყო ქ. შუშაში სამოქალაქო სკოლის მასწავლებლად. მუშაობდა განჯის სამოქალაქო და სახელოსნო სასწავლებელში, თბილ. მე-5 გიმნაზიაში, თბილ. I საშ. სკოლაში. ზ-ს ეკუთვნის შრომები: „ახალი ქართული ანბანი" (1920) ოთხ ნაწილად, „ქართული წერის მეთოდიკა" (1934) და სხვ.

ი. ზედგინიძე